პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ

ხელშეკრულების ძირითადი პირობები

(შემდგომში „ხელშეკრულების ძირითადი პირობები“)

1.1 კომპანია (მეწარმე / გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი და/ან იურიდიული პირი / ორგანიზაციული წარმონაქმნი) უზრუნველყოფს სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ 204854595, შემდგომში „ბანკი“ / „თიბისი ბანკი“) პოს ტერმინალის (როგორც საგადახდო საშუალების, შემდგომში „ტერმინალი“ / „პოს ტერმინალი“) გამოყენებით, VISA, Master Card / Maestro და China Union Pay (შემდგომში ერთად და ცალცალკე - „საერთაშორისო საგადახდო სისტემები“) საერთაშორისო ბარათებით კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის / გაყიდული საქონლის ღირებულების უნაღდო ანგარიშსწორების წესით მიღებას (გადახდების მიღებას).

1.2 ხელშეკრულების პირობები დამატებით რეგულირდება „პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებით“ (შემდგომში „საერთო დებულებები“, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას) და ხელშეკრულების ძირითადი პირობების და/ან საერთო დებულებების და/ან კომპანიის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი განაცხადის (რომლითაც ის უერთდება ამ ხელშეკრულებას - ხელშეკრულების ძირითადი პირობებს და საერთო დებულებებს (შემდგომში „განაცხადი“)) შესაბამისი დანართებით (თანდართული ხსენებულ დოკუმენტებზე და/ან მხარეთა შორის მომავალში გაფორმებული/შეთანხმებული, რომლებიც წარმოადგენენ ამ დოკუმენტის არსებით შემადგენელ ნაწილს).

1.3 ბანკს უფლება აქვს ხელშეკრულებაში და/ან პოს ტერმინალით მომსახურებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანართში და/ან პოს ტერმინალით მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი განაცხადით და/ან ბანკის ვებგვერდზე https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals (შემდგომში „ბანკის ვებგვერდი“) პოს ტერმინალით მომსახურებისთვის განსაზღვრულ პირობებში/ტარიფებში/გადასახდელებში ცვლილებები/დამატებები შეიტანოს, ცვლილების/დამატებების განხორციელებამდე 1 (ერთი) თვით ადრე ბანკის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების ან კომპანიისთვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. კომპანიას უფლება აქვს ბანკის ვებგვერდზე ცვლილებების/დამატებების შესახებ ინფორმაციის განთავსებიდან ან კომპანიისთვის შეტყობინების გაგზავნიდან 1 (ერთი) თვის გასვლამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე ბანკისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში, კომპანია ვალდებული იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი. ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კომპანიის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ ისარგებლებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კომპანიის მიერ მიღებულად, პირობები/ტარიფები/გადასახდელები კი შეცვლილად. ბანკს უფლება აქვს პირობების ცვლილება/დამატება, რომელიც არ აუარესებს კომპანიის მდგომარეობას, ძალაში შეიყვანოს ვებგვერდზე მისი განთავსებისთანავე/კომპანიისთვის შეტყობინების მიწოდებისთანავე.

1.4 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ხელშეკრულებით და/ან ნებისმიერი განაცხადით და/ან ნებისმიერი დანართით და/ან ბანკის ვებგვერდზე განსაზღვრული ნებისმიერი პირობის ცვლილება/დამატებას, ბანკი განახორციელებს კომპანიის სასარგებლოდ, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს კომპანიას ცვლილების შესახებ.

1.5 მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა):

1.5.1 მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია (ა) წინამდებარე ხელშეკრულებაში და/ან (ბ) კომპანიის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ/ხელმოწერილ ნებისმიერ დოკუმენტში / განაცხადში და/ან (გ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება კომპანიისთვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;

1.5.2 თუ, მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. კომპანია აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 1.5.1 ქვეპუნქტში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით), მისთვის ჩაბარებულად ითვლება;

1.5.3 შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას;

1.5.4 შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშულებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.

1.6 ხელშეკრულების ყველა დანართი და/ან შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.7 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

1.8 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

1.9 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.

1.10 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

1.11 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკსა და კომპანიას შორის დადებული / კომპანიის მიერ დადასტურებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ მოქმედება.

პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების

საერთო დებულებები

(შემდგომში „საერთო დებულებები“)

1. საერთო დებულებებში / განაცხადში / ბანკის ვებგვერდზე მოცემულ ტერმინთა განმარტება

1.1. საერთო დებულებებში / განაცხადში / ბანკის ვებგვერდზე მოცემულ ტერმინთა განმარტებები და წესები ეყრდნობა საერთაშორისო საგადახდო სისტემების წესებს. ამასთან, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ საქონლის (ნივთის) / მომსახურების ღირებულების მიმდინარე / მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით ანგარიშსწორებისას, უპირატესად გამოიყენება ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცედურ(ებ)ით/სტანდარტ(ებ)ით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები/მოთხოვნები, რაც არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით / საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ განსაზღვრული/დადგენილი წესებით / მოთხოვნებით / პირობებით / დებულებებით,.

1.1.1. <u>საერთო დებულებებში მოცემულ ტერმინთა განმარტება:</u>

ბარათი - საერთაშორისო საგადახდო სისტემების საერთაშორისო საგადახდო ბარათები.

ბარათის მფლობელი (კლიენტი) – პირი, რომელიც იყენებს საბანკო ბარათს ან Digital Wallet-ს ემიტენტთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საპროცესინგო ცენტრი - სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“, რომელიც უზრუნველყოფს პოს ტერმინალის მომსახურებას, საბარათე ოპერაციების ავტორიზაციას და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას.

ავტორიზაცია - ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის: გარიგების მოთხოვნაზე თანხმობის ან უარის მიღების პროცედურა, რომლის დროსაც მოწმდება ბარათის ვალიდურობა (ძალაში ყოფნის ფაქტის დადასტურება), ბარათზე გარიგების შესაბამისი თანხის არსებობა და ხდება ამ თანხის ბლოკირება.

ავტორიზაციის კოდი - გარიგების (ავტორიზაციაზე თანხმობის) დამადასტურებელი ექვსნიშნა რიცხვი; გარიგების უარყოფის კოდი - სხვადასხვა მიზეზით არშემდგარი გარიგების (ავტორიზაციაზე უარის) კოდი. ტრანზაქცია - ავტორიზაციისა და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა.

პოს ტერმინალი - ელექტრონული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგების თანხისა და ბარათზე არსებული ინფორმაციის გადაცემა საპროცესინგო ცენტრთან ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად.

მობილური ტერმინალი - პოს ტერმინალის ერთ-ერთი ფორმა ე.წ. „რიდერი“ რომელიც უზრუნველყოფს გადახდის მიღებას მობილური ტელეფონში ჩატვირთული აპლიკაციის მეშვეობით.

სავაჭრო ქვითარი / ავტომატური სავაჭრო ქვითარი - ბარათით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ბეჭდავს პოს ტერმინალი ორ იდენტურ ასლად და რომელიც შედგენილია წინამდებარე ხელშეკრულების 4.3.1 პუნქტში აღწერილი წესების სრული დაცვით.

ბაჩი – 24 საათის განმავლობაში შესრულებულ გარიგებათა ჯამური თანხა, რომელსაც პოს ტერმინალი აგზავნის საპროცესინგო ცენტრში.

ჩარჯბეკი - საერთაშორისო საგადახდო სისტემების წესების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბარათის ემიტენტის ან მფლობელის მიერ ტრანზაქციის გასაჩივრების და ექვაიერისგან (ტრანზაქციის შემსრულებელი ბანკისაგან) ტრანზაქციის თანხის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნების მოთხოვნის პროცედურა. იმ შემთხვევ(ებ)ისთვის, როდესაც ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით შესრულებული ტრანზაქცი(ებ)ის გასაჩივრება, ჩარჯბეკის პროცედურა განსხვავდება ბარათით შესრულებული ტრანზაქცი(ებ)ისთვის განსაზღვრული ჩარჯბეკის პროცედურისგან და ხსენებული უპირატესად რეგულირდება/წარიმართება საქართველოს კანონმდებლობით და ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცედურ(ებ)ით/სტანდარტ(ებ)ით განსაზღვრული/დადგენილი წესების

შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით / საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ განსაზღვრული/დადგენილი წესებით/მოთხოვნებით/პირობებით/დებულებებით.

ჩარჯბეკის დოკუმენტი - საერთაშორისო საგადახდო სისტემების წესებით დადგენილი ჩარჯბეკის პროცესისათვის დამხმარე საბუთი ან ინფორმაცია (როგორიცაა სავაჭრო ქვითარი, კლიენტის მონაცემები, ტრანზაქციის დამატებითი აღწერა, კომპანიის ინვოისი/ანგარიში, ნებისმიერი დოკუმენტის ჩანაწერი, კომპანიის წერილი და ა.შ.).

ფილიალი - იურიდიული პირის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

საბანკო დღე / სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

Digital Wallet - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ინახავს კლიენტის ბარათთან ასოცირებულ თოქენს და შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორება განხორციელდეს ელექტრონული კომერციით და/ან პოს ტერმინალით. Digital Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობები.

ანგარიში - კომპანიის/კლიენტის კუთვნილი საანგარიშსწორებო (მიმდინარე/საბარათე/მოთხოვნამდე ანაბრის) ანგარიში, რომლის მეშვეობითაც ხდება საქონლის (ნივთის) შეძენასთან / მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება.

1.1.2. <u>განაცხადში / ბანკის ვებგვერდზე მოცემულ ტერმინთა განმარტება:</u>

შევსებადი საკომისიო - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის თითოეული ტერმინალის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ტერმინალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანაგრიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო, რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში.

შევსებადი საკომისიო ერთეულ ტერმინალზე - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის თითოეული ტერმინალის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ტერმინალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო, რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში.

შევსებადი საკომისიო ერთეულ ფილიალზე - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის თითოეული ფილიალის ტერმინალების წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ფილიალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანაგრიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო,

რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში.

ფიქსირებული საკომისიო - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: განაცხადის შესაბამის გრაფაში / ბანკის ვებგვერდზე მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც კომპანია გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ და დაემატება განაცხადით / ბანკის ვებგვერდზე გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას.

ფიქსირებული საკომისიო ერთეულ ტერმინალზე - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: განაცხადის შესაბამის გრაფაში / ბანკის ვებგვერდზე მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც კომპანია გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ თითოეულ ტერმინალზე და დაემატება განაცხადით / ბანკის ვებგვერდზე გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას.

ფიქსირებული საკომისიო ერთეულ ფილიალზე - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: განაცხადის შესაბამის გრაფაში / ბანკის ვებგვერდზე მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც კომპანია გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ თითოეულ ფილიალზე და დაემატება განაცხადით / ბანკის ვებგვერდზე გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიჭრება ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას.

ჯამური საკომისიო - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი აღმოჩნდება ჯამური საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანაგრიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას.

სალარო ტერმინალი - პოს ტერმინალი, რომელსაც დამატებული აქვს სალარო აპარატის ფუნქცია, რაც გულისხმობს ნაღდი ანგარიშსწორების დროს სალაროს ჩეკის ამობეჭდვის შესაძლებლობას და იმავე ფუნქციების განხორციელებას, რაც გააჩნია სალარო აპარატს.

DCC - Dynamic currency conversion - თანხის გადახდის დროს პოს ტერმინალზე ვალუტის ცვლილებისთვის განკუთვნილი ფუნქციონალი. კლიენტს უცხოური ბანკების მიერ ემისირებული ბარათ(ებ)ით პოს ტერმინალით ტრანზაქციის განხორციელებისას, აქვს საშუალება DCC-თვის დასაშვები ვალუტებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი უცხოური ვალუტა, ტრანზაქცია განახორციელოს შესაბამისი უცხოური ვალუტის ეკვივალენტი თანხით და ტრანზაქციის წარმატებით დასრულების შემდეგ მიიღოს ქვითარი, რომელზეც აღბეჭდილი იქნება ვალუტებს შორის კონვერტირების კურსი და თანხა ორივე ვალუტაში. ასეთი ტრანზაქციისას, ვალუტათა შორის კონვერტაცია განხორციელდება სს „თიბისი ბანკის“ ვებგვერდზე - https://www.tbcbank.ge/web/ka განთავსებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

პრეავტორიზაცია - გარიგების თანხის დროებითი დაბლოკვა, რასაც უნდა მოყვეს კომპანიის მიერ დაბლოკილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ დადასტურების (კომიტის) ან კლიენტისთვის დაბრუნების ოპერაცია. დაბლოკვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში კომპანიის მიერ კომიტის განუხორციელებლობის ან კლიენტისათვის გარიგების თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ავტომატურად განხორციელდება გარიგების თანხის განბლოკვა.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ბანკის უფლებები და მოვალეობები

2.1.1 <u>ბანკი კისრულობს</u>

<u>ვალდებულებას:</u>

2.1.1.1 საპროცესინგო ცენტრის მეშვეობით უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოს ბარათების ავტორიზაცია;

2.1.1.2 უზრუნველყოს პოს ტერმინალით საერთაშორისო საგადახდო სისტემების ბარათებით განხორციელებულ გარიგებებზე ანგარიშსწორება (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში), კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით (ხელშეკრულების ძირითადი პირობებით და/ან საერთო დებულებებით) და განაცხადით / ბანკის ვებგვერდზე განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და ბაჩის წარდგენის შემდეგ; უზრუნველყოს ტრანზაქციის თანხის კომპანიის ანგარიშზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადარიცხვა / ასახვა ტრანზაქციის განხორციელებიდან არაუგვიანეს მეორე/მომდევნო საბანკო დღეს;

2.1.1.3 გადასცეს კომპანიას სარგებლობაში პოს ტერმინალი;

2.1.1.4 უფასოდ გაუწიოს ტერმინალებს ტექნიკური ზედამხედველობა;

2.1.1.5 წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ფორმით შეატყობინოს კომპანიას არსებითი საოპერაციო ცვლილებების შესახებ ცვლილებებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა;

2.1.1.6 დაიცვას კომპანიის ტრანზაქციების (ოპერაციების) კონფიდენციალობა;

2.1.1.7 კომპანიას გაუწიოს პოს ტერმინალით მომსახურების ფარგლებში გადახდების მისაღებად საჭირო კონსულტაცია; ამასთან, კომპანიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, კომპანიის პერსონალს (დასაქმებულებს), რომლებიც უშუალოდ მოემსახურებიან ბარათის მფლობელებს, ასწავლოს ბარათების მომსახურების წესები და ჩაუტაროს შესაბამისი ინსტრუქტაჟი (სწავლება) ან ბანკის დავალების საფუძველზე სწავლების ინსტრუქტაჟი (სწავლება) ჩაატაროს საპროცესინგო ცენტრმა.

2.1.2 <u>ბანკი უფლებამოსილია:</u>

2.1.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისას კომპანიის მიერ მითითებულ ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი თანხა/ები გადაურიცხოს საკომისიო(ებ)ს გამოკლებით;

2.1.2.2 არ მოახდინოს ანგარიშსწორება ამ დოკუმენტის 2.2.1.1 ქვეპუნქტში მოცემული წესების დარღვევით შედგენილი ყალბი ან ძალადაკარგული სავაჭრო ქვითრების მიხედვით და ამავდროულად ბანკი არ არის ვალდებული 2.2.1.1 ქვეპუნქტში მოცემული წესების დარღვევით შევსებულ გარიგების ქვითარში მითითებულ თანხ(ებ)ის ჩარიცხვაზე;

2.1.2.3 დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსალოდნელი ჩარჯბეკის, ჯარიმის ან/და ზარალის ანაზღაურების მიზნით გააჩეროს და დაარეზერვოს (კომპანიის ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი მოცულ ობის (ოდენობის) თანხის საერთაშორისო საგადახდო სისტემების რეგულაციის წესებით განსაზღვრული ვადით ბლოკირება) კომპანიისთვის ჩასარიცხი თანხა;

2.1.2.4 თუ რეზერვის თანხა არ ფარავს კომპანიის დავალიანებას ბანკის მიმართ, ბანკი უფლებამოსილია კომპანიის ნებისმიერი ანგარიშიდან ჩამოწეროს თანხა (ხელმისაწვდომი თანხ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში), რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას. განსხვავებულ ვალუტაში თანხების ჩამოწერის შემთხვევაში ეკვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კომერციული კურსით;

2.1.2.5 პოს ტერმინალით განხორციელებულ ტრანზაქციებზე არ მოახდინოს ანგარიშსწორება გარიგებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის, ხოლო პრეავტორიზაციით განხორციელებული გარიგებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ მიღებული ბაჩის საფუძველზე;

2.1.2.6 უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის და/ან ინფორმირების გარეშე) ჩამოწეროს კომპანიის ანგარიშ(ებ)ზე შეცდომით ჩარიცხული თანხები;

2.1.2.7 პერიოდულად შეამოწმოს კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით (საერთო დებულებებით) გათვალისწინებული საოპერაციო წესების დაცვა;

2.1.2.8 არ მოახდინოს კომპანიასთან ანგარიშსწორება, კომპანიის მფლობელობაში არსებული პოს ტერმინალით განხორციელებული ტრანზაქციების საეჭვოობის და/ან უკანონობის შემთხვევაში;

2.1.2.9 ჩარჯბეკის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩარჯბეკის პროცესის დამთავრებამდე, მოახდინოს შესაბამისი თანხების ჩამოჭრა (უაქცეპტო წესით ჩამოწერა) კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან, რაც შეესაბამება საერთაშორისო საგადახდო სისტემების რეგულაციის წესებს; იმ შემთხვევაში, თუ ჩარჯბეკის პროცესის დასრულებამდე ვერ განხორციელდა კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან შესაბამისი თანხის ჩამოჭრა (ჩამოწერა) და ჩარჯბეკის პროცესი დასრულდა წარუმატებლად, კომპანია ვალდებულია ბანკს დაუფაროს გასაჩივრებით მიღებული ზარალი;

2.1.2.10 ჩარჯბეკის პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, წინასწარ ჩამოჭრილი (ჩამოწერილი) სადავო თანხა დააბრუნოს კომპანიის ანგარიშ(ებ)ზე, ამასთან, ჩარჯბეკის პროცესის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, წინასწარ ჩამოჭრილი (ჩამოწერილი) სადავო თანხა კომპანიას აღარ დაუბრუნდება;

2.1.2.11 როგორც ჩარჯბეკის დაფიქსირებისას, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ გარიგება მიჩნეულ იქნება საეჭვოდ და/ან დაკვალიფიცირდება უკანონო გარიგებად, ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს (და ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია ბანკს მიაწოდოს) კომპანიასთან და გარიგებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია / დოკუმენტაცია / კონკრეტული საბარათე ტრანზაქციის დეტალები / ჯავშნის დოკუმენტი / ტრანზაქციის დამადასტურებელი პოს ტერმინალის ქვითარი / ინვოისი და სხვ; ამასთან, ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბანკის მიერ შესაძლოა მოთხოვნილი იქნას კლიენტის პერსონალური ინფორმაცია: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი, კლიენტის საკონტაქტო ინფორმაცია. ბანკი ხსენებული ინფორმაციის გაზიარებას მოახდენს მხოლოდ საერთაშორისო საგადახდო სისტემების დაცული არხების საშუალებით;

2.1.2.12 იმ შემთხვევაში თუ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ჩარჯბეკების თანხა მიაღწევს გარიგებების საერთო თანხის 1%-ს ან მკვეთრად გაიზრდება ტრანზაქციების რაოდენობა ან/და თანხა, მიზეზის დადგენამდე (შემოწმების საფუძველზე), დროებით შეაჩეროს კომპანიასთან ანგარიშსწორება და ბარათების მომსახურება;

2.1.2.13 ტრანზაქციის გაუქმებისა და უკუგატარების შემთხვევაში, ტრანზაქციის თანხის ბანკის ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 (სამი) დღის ვადაში განიხილოს შესაბამისი ინფორმაცია და/ან დოკუმენტები და მიიღოს გადაწყვეტილება ბარათის მფლობელის ანგარიშზე თანხის დაბრუნება/არდაბრუნების შესახებ;

2.1.2.14 კანონითა და წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებების შეუზღუდავად, საერთო დებულებების შესაბამისი პუნქტებით/ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს საერთო დებულებების შესაბამისი პუნქტებით/ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოები (პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ბანკის ვალდებულებას). ასეთი ვალდებულებების წარმოშობის შემთხვევაში და მისი წარმოშობის შემდგომ, ბაკი უფლებამოსილია შესაბამის თანხ(ებ)ი უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის და/ან ინფორმირების გარეშე) ჩამოწეროს კომპანიის ნებისმიერი ანგარიშიდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას;

2.1.2.15 დაუყონებლივ შეაჩეროს კომპანიის მომსახურება და/ან კომპანიასთან ანგარიშსწორება, რაიმე მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს საერთაშორისო საგადახდო სისტემების ანგარიშსწორების სისტემების რეპუტაციას;

2.1.2.16 კომპანიის სასარგებლოდ პოს ტერმინალების მიწოდება, უკან წამოღება, მონტაჟი, დემონტაჟი და მათი სრული მომსახურება უზრუნველყოს სს „საბანკო სისტემების სერვისების კომპანიის„ თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტებს;

2.1.2.17 კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან ჩამოწეროს ფიქსირებული საკომისიო კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებული თვეების რაოდენობით.

2.1.2.18 შეატყობინოს კომპანიას თაღლითური ტრანზაქციის თაობაზე ბარათის ემიტენტის მიერ განცხადების და/ან ჩარჯბეკის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღეს.

2.1.2.19 ბანკის წინაშე ვალდებულებ(ებ)ის წარმოშობის შემთხვევაში / წარმოშობის შემდგომ, უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის და/ან ინფორმირების გარეშე) კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის (მათ შორის საკომისიოს, პირგასამტეხლოს, კომპანიის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის და ა.შ.) ჩამოწერისას, კონვერტაცია (საჭიროების შემთხვევაში) განახორციელოს თანხ(ებ)ის ჩამოწერის მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით.

2.1.2.20 საერთო დებულებების 2.2.1.30, 2.2.1.31, 2.2.1.32 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ბანკი ასანაზღაურებელი ხარჯების / ღირებულების თაობაზე კომპანიის ინფორმირებას უზრუნველყოფს ბანკის სატელეფონო სერვისცენტრის ან ინტერნეტ-ბანკის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით. თუ კომპანია ინფორმირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში არ აანაზღაურებს ხარჯებს / ღირებულებას, ბანკი უფლებამოსილია კომპანიის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის და/ან ინფორმირების გარეშე) ჩამოწეროს თანხა (ხელმისაწვდომი თანხ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში). განსხვავებულ ვალუტაში თანხების ჩამოწერის შემთხვევაში, ეკვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კომერციული კურსით.

2.1.2.21 კომპანიის მიერ კომიტის გარიგების თანხის დაბლოკვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდგომ განხორციელების შემთხვევაში, კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს კომპანიის მიერ დაგვიანებით დადასტურებული გარიგების თანხა.

2.1.2.22 მოსთხოვოს კომპანიას, კლიენტის მიერ ტრანზაქციის ინიცირებისას, კლიენტისთვის თვალსაჩინო გახადოს ტრანზაქციის თანხა და ვალუტა.

2.1.2.23 კომპანიის მიმართ აწარმოოს დავა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ აუნაზღაურებს ბანკს ჩარჯბეკის / რეფანდის / საერთაშორისო საგადახდო სისტემებიდან მიღებული ჯარიმების საფუძველზე წარმოშობილ დავალიანებას და ბანკი მოთხოვნის ავტომატურად დაკმაყოფილებას ვერ ახდენს სადაზღვევო რეზერვიდან / კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის უაქცეპტოდ ჩამოწერის საფუძველზე.

2.1.2.24 კომპანიის მიერ საეჭვო/უკანონო ტრანზაქციების განხორციელებაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, არ მოახდინოს კომპანიასთან ანგარიშსწორება და/ან შეუჩეროს/შეუწყვიტოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება.

2.1.2.25 მოსთხოვოს კომპანიას ბანკში კლიენტად რეგისტრაცია / ანგარიშ(ებ)ის გახსნა (თუკი კომპანიას უკვე არ არის რეგისტრირებული / არ აქვს გახსნილი ანგარიშ(ებ)ი).

2.1.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ისთვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია ბანკის სტანდარტული ტარიფ(ებ)ისგან განსხვავებული/შეღავათიანი გადასახდელ(ებ)ი/ტარიფ(ებ)ი იმ პირობით/მიზნით, რომ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში კომპანია ბარათ(ებ)ით გადახდების მიღებისას უპირატესად ისარგებლებს სს „თიბისი ბანკის“ პოს ტერმინალის მომსახურებით, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს კომპანიისთვის განსაზღვრული

განსხვავებული/შეღავათიანი გადასახდელ(ებ)ი/ტარიფ(ებ)ი კომპანიის მიერ ამავე პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევისთანავე

2.2. კომპანიის უფლებები და მოვალეობები

2.2.1 <u>კომპანია კისრულობს ვალდებულებას:</u>

2.2.1.1 დაიცვას ტერმინალით საერთაშორისო საგადახდო სისტემების ბარათებით მომსახურების წესები:

- ტრანზაქციის განხორციელებამდე გადამხდელისათვის, გადახდის მოწყობილობის ეკრანის საშუალებით, თვალსაჩინო გახადოს ტრანზაქციის თანხა და ვალუტა;
- არ განუცხადოს უარი მომხმარებელს საქონლის/მომსახურების შეძენაზე ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სერვისის გამოყენებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია / ტრანზაქცია კომპანიის მიერ საეჭვოდ იქნა მიჩნეული;
- კომპანიის მიერ პოს ტერმინალის ქვითარზე წარმოდგენილი იყოს დისკრიპტორი (კომპანიის სავაჭრო დასახელება) რომელიც დაფიქსირდება კლიენტის ამონაწერში;
- მაგნიტური ზოლით განხორციელებულ ტრანზაქციის ქვითარზე მოაწერინოს კლიენტს ხელი;
- იმ შემთხვევაში, თუ მაგნიტური ზოლით განხორციელებული ტრანზაქციის თანხა აღემატება 100 (ასი) ლარს დამატებით მოითხოვოს პირადობის მოწმობა და მოწმობის ნომერი დაიტანოს ამობეჭდილ ქვითარზე;
- შეინახოს კლიენტის მიერ ხელმოწერილი ქვითარი 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში;
- გადახდა ჩათვალოს წარმატებით დასრულებულად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამობეჭდილ ქვითარზე წერია - „დადასტურებულია“, პასუხის კოდი - 000.

2.2.1.2 საერთაშორისო საგადახდო სისტემების ბარათების მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული წესების მკაცრი დაცვით;

2.2.1.3 უზრუნველყოს საპროცესინგო ცენტრში ბაჩის გაგზავნის პროცედურა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესების მიხედვით;

2.2.1.4 ტრანზაქციის გაუქმებისა და უკუგატარების შემთხვევაში, უზრუნველყოს ბანკის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში;

2.2.1.5 პოს ტერმინალებთან მუშაობის უფლება (პოს ტერმინალების გამოყენების საშუალება) მისცეს მხოლოდ ბანკის ან საერთო დებულებებით განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ის მიერ კვალიფიცირებულ თანამშრომლებს და წერილობით მოითხოვოს ბანკისგან ან საპროცესინგო ცენტრისგან ახალი პერსონალისათვის (დასაქმებულთათვის) ინსტრუქტაჟის (სწავლების) ჩატარება;

2.2.1.6 არ გადასცეს პოს ტერმინალები და არ მისცეს მათი გამოყენების უფლება მესამე პირებს;

2.2.1.7 ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, კომპანიას ეკრძალება ტერმინალის სხვა ფილიალში და/ან სხვა სავაჭრო წერტილში გადატანა;

2.2.1.8 არ გაატაროს კრედიტული ტრანზაქცია შესაბამისი დებეტური ტრანზაქციის გატარების გარეშე;

2.2.1.9 არ მიიღოს ბარათი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის გარდა სხვა მიზნებისათვის (მაგალითად არსებული ვალის ინკასირების (ამოღების) ან სხვა მსგავსი შემთხვევების დროს);

2.2.1.10 განათავსოს პოს ტერმინალ(ებ)ი და სარეკლამო მასალები, მხოლოდ ბანკთან წინასწარი შეთანხმებით;

2.2.1.11 შეინახოს სავაჭრო ქვითრები, ბაჩის ქვითრები და ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში. ხსენებული ქვითრები და/ან ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია გადასცეს ბანკს მისი მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში (გარდა

ჩარჯბეკის შემთხვევისა, რა დროსაც ბანკისთვის ქვითრების და/ან ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაციის გადაცემა უნდა მოხდეს ბანკის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში);

2.2.1.12 დაიცვას საბარათე ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა; დაიცვას მომხმარებლის კონფიდენციალურობის პოლიტიკა;დაიცვას ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკა;

2.2.1.13 არ მოახდინოს ბარათის ნომრის მოთხოვნა ან გამოყენება სხვა მიზნისთვის, გარდა საქონლისა ან მომსახურების ანგარიშსწორებისა; არ მოითხოვოს მომხმარებლისგან ბარათის შესახებ ინფორმაციის (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და ა.შ.) კომპანიის ვებგვერდზე შეყვანა; არ დაუშვას ბარათის შესახებ ინფორმაციის შენახვა და/ან გამჟღავნება/გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა) და მკაცრად დაიცვას საბარათე ოპერაციების შესრულების უსაფრთხოება.

2.2.1.14 აცნობოს ბანკს მის მიერ მესამე პირის (მათ შორის მისი შვილობილი საწარმოს ან მასთან აფილირებული პირის) გამოყენების თაობაზე, რომელსაც წვდომა ექნება ბარათის მონაცემებთან. ხსენებული პირ(ებ)ი აუცილებელი წესით უნდა აკმაყოფილებდნენ საერთაშორისოსაგადახდო სისტემების უსაფრთხოების მოთხოვნებს, რის დაუცველობის / დარღვევის შემთხვევაში სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს კომპანია;

2.2.1.15 შეასრულოს ქვემოთ მოცემული მოთხოვნები სრულად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ გამოიყენება მესამე პირის საბარათე მონაცემების დამუშავების სერვისი:

- უზრუნველყოს სისტემაში ჩართული მესამე პირის საერთაშორისო საგადახდო სისტემების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- ადასტურებს, რომ სრულად იცნობს საერთაშორისო საგადახდო სისტემების „PCI-DSS" უსაფრთხოების პროგრამას ბარათების მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით და ვალდებულებას იღებს შეასრულოს მათთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2.2.1.16 ჩარჯბეკის შემთხვევაში, ჩარჯბეკის პროცესის დამთავრებამდე, მოახდინოს საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ უკან გათხოვილი თანხის სრული ანაზღაურება;

2.2.1.17 ჩარჯბეკის შემთხვევაში, თუ კომპანია საერთო დებულებების 2.2.1.11 ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში ბანკს არ გადასცემს ჩარჯბეკის დოკუმენტებს (მათ შორის ქვითრებს, ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაციას და სხვ.), კომპანია ვალდებული იქნება გადაიხადოს ჩარჯბეკის თანხა სრული ოდენობით;

2.2.1.18 აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც ბანკს შესაძლოა მიადგეს კომპანიის მომსახურე პერსონალის (დასაქმებულების) დაუდევარი ქმედებისა ან/და წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.1.1 ქვეპუნქტში მოცემული ბარათის მომსახურების წესების დარღვევის შედეგად;

2.2.1.19 პოს ტერმინალის მუშაობაში ხარვეზ(ებ)ის წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყონებლივ აცნობოს ბანკს;

2.2.1.20 ხელი შეუწყოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთას - მაგ. კომპანია წარმოადგენს ოპერაციის შესრულების დამადასტურებელ ჩეკს, რომელიც მიღებულია, მხოლოდ ბარათის მფლობელსა და კომპანიას შორის სავაჭრო გარიგების შედეგად;

2.2.1.21 არ მოახდინოს საქონლის და/ან მომსახურების ღირებულებაზე (ოპერაციის/ტრანზაქციის თანხაზე) რაიმე დამატებითო საკომისიოს (მათ შორის კომპანიის მიერ ბანკის სასარგებლოდ გადასახდელი ნებისმიერი საკომისიოს)და/ან გადასახადის დამატება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანია წინასწარ, გადახდის მიღებამდე, კლიენტისთვის თვალსაჩინოდ მიუთითებს დამატებითი გადასახადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი მიზნობრიობის თაობაზე). ასეთის განხორციელების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ დარღვევაზე;

2.2.1.22 კომპანიის სავაჭრო ობიექტის (სავაჭრო ფართის) დახურვის ან ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს ბანკის მიერ გადაცემული პოს ტერმინალები კომპანიის სავაჭრო ობიექტის (სავაჭრო ფართის) დახურვიდან ან ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო დასაბრუნებელი პოს ტერმინალების სრული ღირებულების 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

2.2.1.23 პოს ტერმინალის დამატების სურვილის შემთხვევაში, მინიმუმ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე წერილობით, კომპანიის ინტერნეტ ბანკით (მისი არსებობის შემთხვევაში) ან ი-მეილით (ი-მეილი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე - smepayments@tbcbank.com.ge) აცნობოს ბანკს დამატების მოთხოვნის შესახებ;

2.2.1.24 გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, კლიენტს არ განუცხადოს უარი ბარათით ანგარიშსწორებაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობას, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ დარღვევაზე;

2.2.1.25 პოს ტერმინალის გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული პროფილის შესაბამისად. პროფილის დამატების ან შეცვლის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ;

2.2.1.26 გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ვადიან სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობა - პოს ტერმინალი; იქონიოს და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შეინარჩუნოს შესაბამისი მოწყობილობები, აპარატურა და/ან სხვა საშუალებები (მათ შორის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, შიდა კონტროლის მექანიზმები და სხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობა) ინფორმაციის უსაფრთხოების / კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვის და კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობის მიზნით.

2.2.1.27 არ მოახდინოს ტერმინალის რაიმე ტექნიკური და პროგრამული ცვლილებები;

2.2.1.28 ტერმინალის გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყონებლივ აცნობოს ბანკს ნომერზე: +995 32 2 27 27 30;

2.2.1.29 ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს ბანკს ტერმინალ(ებ)ი და მიღება-ჩაბარებით განსაზღვრული ტერმინალის აქსესუარები თავდაპირველ მდგომარეობაში ნორმალური (ბუნებრივი) ცვეთის გათვალისწინებით;

2.2.1.30 ტერმინალის ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს ბანკს მისი შეკეთების ხარჯები;

2.2.1.31 ტერმინალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს კომპანიას, ხოლო ამგვარი მოთხოვნის არსებობისას კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს 1 000 (ერთი ათასი) ლარი (თითოეული ტერმინალისთვის);

2.2.1.32 მიღება-ჩაბარებით განსაზღვრული ტერმინალის აქსესუარების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს ბანკს მათი ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია მიღება-ჩაბარების აქტით;

2.2.1.33 ბანკის მიერ განსაზღვრული საკომისიოების დროულად და/ან სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გადახდის თაობაზე ბანკის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ყველა გადასახდელის სრულად გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან მისი დანართებით გათვალისწინებული ნებისმიერი მომსახურება (მათ შორის პოს ტერმინალით მომსახურება), ხოლო მომსახურების შეჩერებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული

დღის ვადაში ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეწყვიტოს მომსახურება.

2.2.1.34 სალარო ტერმინალის ლუქის დაზიანებისას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მისი გამოყენება, არ განახორციელოს მისი თვითნებური შეკეთება და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს.

2.2.1.35 უზრუნველყოს საქონლის/მომსახურების რეალიზებისთვის ამ ხელშეკრულების ფარგლებში გამოსაყენებელი ყველა რესურსის კლიენტის მიერ შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა / ნებისმიერი ხარვეზის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, რათა ტრანზაქციის განხორციელებისას, კლიენტმა არ განიცადოს დანაკლისი.

2.2.1.36 არ მიიღოს გადახდა (და ამგვარი მცდელობის შესახებ აცნობოს ბანკს), თუ გადახდა ხორციელდება:

- ვადაგასული, დაბლოკილი ან სტანდარტული რეკვიზიტების არმქონე ბარათით;
- ბარათზე ხელმოწერის ზოლის არსებობისას, არ არის წარმოდგენილი ბარათის მფლობელის ხელმოწერა;
- მაგნიტური ზოლით ოპერაციის შესრულებისას, ბარათზე შესრულებული ხელმოწერა არ შეესაბამება ოპერაციის ქვითარზე შესრულებულ ხელმოწერას.

2.2.1.37 ტრანზაქციის უარყოფის (გადახდის მიღებაზე უარის თქმის) შემთხვევაში, ბანკს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია უარის თქმის საფუძვლ(ებ)ის თაობაზე.

2.2.1.38 არასწორად დამუშავებული ტრანზაქციის (მათ შორის კლიენტისთვის თანხის დუბლირებულად/დაგვიანებით ჩამოჭრის) შემთხვევაში, ტრანზაქციის იდენტიფიცირებიდან 10 (ათი) დღის ვადაში აუნაზღაუროს ბანკს მიყენებული ზიანი/ზარალი

2.2.2 <u>კომპანია უფლებამოსილია:</u>

2.2.2.1 მიიღოს დამატებითი კონსულტაცია ბარათებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ;

2.2.2.2 წერილობით მოთხოვოს ბანკს მისი პერსონალის (დასაქმებულების) განმეორებითი ინსტრუქტაჟი (სწავლება).

2.2.2.3 თითოეული საბარათე ოპერაციის შესახებ მიიღოს ბანკისგან (ბანკთან შეთანხმებული პერიოდულობით (მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ)) ოპერაციის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ტრანზაქციის უნიკალური კოდი / ინფორმაცია კომპანიის ანგარიშზე ჩასარიცხი თანხის და ვალუტის შესახებ.

2.3. კომპანია აცხადებს და ადასტურებს, რომ:

2.3.1. კომპანია, მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირ(ებ)ი (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე მათ შორის წარმოადგენს ნებისმიერ პირს რომელსაც ბანკის შეფასებით, მათ შორის სანქციის მიზნიდან გამომდინარე, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პირზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:

2.3.1.1. არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთის სანქცია მათ შორის მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას);

2.3.1.2. არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

2.3.1.3. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

2.3.1.4. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/აქტივთან/პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სრული ან/და მიზნობრივი ან/და სექტორული სანქციები/შეზღუდვები.

2.3.1.5 იმ შემთხვევაში თუ 2.3 პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ გაკეთებული განცხადება აღმოჩნდება არასწორი და კომპანიის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სანქციის დარღვევას/გვერდის ავლას ან/და აღნიშნულის გამო ბანკის შეფასებით იარსებებს კომპანიაზე ან/და მათთან აფილირებულ პირ(ებ)ზე სანქციის გავრცელების რისკი ან/და რომელიმე ზემოხსენებულ პირზე გავრცელებული იქნება სანქცია, ბანკს გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ქმედებებისა, ასევე უფლება ექნება იმოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.3.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული სანქციის შესაბამისად და განახორციელოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან/და ორგანოს მიერ დაწესებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, მათ შორის არ მისცეს კომპანიას ნებისმიერი თანხის/აქტივ(ებ)ის განკარგვის ან/და მართვის შესაძლებლობა.

2.4 კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულების დანართით #3 გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობის მიზნ(ებ)ისთვის, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

2.4.1 ბანკი კომპანიას გაუაქტიურებს მომსახურებას მის (ბანკის) მიერ დადგენილი წესით/ფორმით (მათ შორის მადლობის თანხის გადახდის ფუნქციონალთან დაკავშირებული სამმხრივი შეთანხმების (ხელშეკრულების დანართი #3) კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის მიერ ინტერნეტ-ბანკით / ბანკისთვის გაცხადებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან და მენეჯერის მიერ ინტერნეტ-ბანკით დადასტურების საფუძველზე).

2.4.2 კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი (დირექტორ(ებ)ი), ინტერნეტ-ბანკით / ბანკისთვის გაცხადებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან შეტყობინების მეშვეობით, განსაზღვრავს პირ(ებ)ს (შემდგომში "დელეგირებული პირი"), რომელიც ხსენებულ შეტყობინებაში დირექტორ(ებ)ის მიერ დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, მოახდენს ბანკის ინფორმირებას მენეჯერის ცვლილების (შემდგომში მენეჯერის ცვლილების განაცხადი) / მადლობის თანხის გადახდის ფუნქციონალის კომპანიის ნებისმიერი მერჩანტისთვის გააქტიურების / მადლობის თანხის გადახდის ფუნქციონალის გათიშვის თაობაზე. ამასთან, დელეგირებული პირ(ებ)ის ცვლილების შესახებ დირექტორ(ებ)ი ბანკს მიაწვდის ინფორმაციას ინტერნეტ-ბანკით / ბანკისთვის გაცხადებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან და ამავე ინფორმაციასთან ერთად აცნობებს ელექტრონული ფოსტის იმ მისამართს, რომლიდანაც ახალი დელეგირებული პირი განახორციელებს მისთვის ამ პუნქტით განსაზღვრულ ქმედებებს, აღნიშნული არ გამორიცხავს მენეჯერის ცვლილების / კომპანიის ნებისმიერი მერჩანტისთვის მადლობის თანხის გადახდის ფუნქციონალის გააქტიურების / ფუნქციონალის გათიშვის შესახებ ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას უშუალოდ კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის მიერ.

2.4.3 მენეჯერის ცვლილების განაცხადი უნდა შეიცავდეს მენეჯერის მონაცემებს და ინფორმაციას იმ საბანკო ანგარიშის შესახებ, რომელზეც აისახება დანართით #3 გათვალისწინებული მადლობის თანხა. ამასთან, დელეგირებულ პირს მენეჯერისგან უნდა ჰქონდეს მიღებული თანხმობა, მადლობის თანხის გადახდის

ფუნქციონალის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით ბანკისთვის მისი (მენეჯერის) პერსონალური მონაცემების გადაცემის თაობაზე.

2.4.4 მენეჯერის ცვლილებისას, დანართით #3 განსაზღვრული შეთანხმება დამატებით კომპანიისგან დადასტურებას არ საჭიროებს და ბანკის მიერ დისტანციური არხით (ინტერნეტ-ბანკით) დასადასტურებლად გაეგზავნება მხოლოდ მენეჯერს.

2.4.5 კომპანიის მიერ დელეგირებული პირის და/ან მენეჯერის ცვლილების შესახებ ბანკისთვის ინფორმაციის დროულად/ჯეროვნად შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი კომპანიის მიერ შეუტყობინებლობით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე (მათ შორის ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს კომპანიას). ბანკი ასევე არ აგებს პასუხს 2.4.1 და/ან 2.4.2 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ის გამოყენებით, კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის / დელეგირებული პირ(ებ)ის ნაცვლად სხვა პირ(ებ)ის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების/ინფორმაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისი ქმედების განხორციელებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

3. ყალბი ან ძალადაკარგული სავაჭრო ქვითრები

3.1. მხარეთა შეთანხმებით ავტომატური სავაჭრო ქვითარი ითვლება - „ყალბ სავაჭრო ქვითრად“ და ბანკი არ მოახდენს კომპანიისთვის თანხების გადარიცხვას, თუ:

3.1.1 კომპანიის მიერ საპროცესინგო ცენტრში წარდგენილი სავაჭრო ქვითარი ან მისი ასლი არ შეესაბამება ავტორიზაციის მონაცემებს;

3.1.2 სავაჭრო ქვითარი არ არის შევსებული ამ ხელშეკრულების 2.2.1.1 ქვეპუნქტში მოცემული წესების დაცვით;

3.1.3 სავაჭრო ქვითარში შეტანილია შესწორებები ან დარღვეულია მათი ასლების იდენტურობა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, სრულად და/ან არასათანადოდ შესრულებაზე, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.2. კომპანიის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, კომპანია იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს ბანკს როგორც გაუფრთხილებლობით, ასევე განზრახ მიყენებული ნებისმიერი პირდაპირი და/ან არაპირდაპირი სახის ზიანი/ზარალი.

4.3. ბანკის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე შეზღუდულია ბანკის მიერ მხოლოდ განზრახ მიყენებული პირდაპირი ზიანით, შესაბამისად კომპანია აცნობიერებს, რომ მას არ ექნება მოთხოვნის ან რაიმე სახის პრეტენზიის წარდგენის უფლება ბანკისთვის ამ უკანასკნელის მიერ კომპანიისთვის გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანთან, აგრეთვე არაპირდაპირი სახის ზიანთან დაკავშირებით, მათ შორის ისეთი სახის ზიანზე, როგორიცაა რეპუტაციული ზიანი, მიუღებელი სარგებელი და სხვა.

4.4. ბანკი პასუხს არ აგებს ანგარიშსწორების შეფერხებაზე იმ შემთხვევაში, თუ შეფერხება გამოწვეულია კომპანიის მიერ არასწორი საბანკო რეკვიზიტების მიწოდებით ან საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებით.

4.5. ბანკი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას კლიენტებისთვის ან მესამე პირებისთვის მიყენებულ იმ ზიანზე, რაც გამომდინარეობს კომპანიის მიერ რაიმე გარიგებაში თავისი ვალდებულებების დარღვევით.

4.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კომპანიასა და კლიენტს შორის წარმოშობილ იმ უთანხმოებებზე, რომელსაც არა აქვს უშუალო კავშირი წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

4.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი სალარო ტერმინალის მეშვეობით ნაღდი ანგარიშსწორების დროს სსიპ „შემოსავლების სამსახურში“ მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობასა და/ან სიზუსტეზე, მათ შორის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, რადგან კლიენტის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ მიეწოდება ღია, ბანკის კონტროლისგან დამოუკიდებელი არხით.

4.8. ბანკი პასუხს არ აგებს კომპანიის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტის, ინტერნეტ-ბანკის) საშუალებიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

4.9. ბანკი პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ განხორციელებული ქმედებ(ებ)ის (მათ შორის პოს ტერმინალის, აპლიკაციის ან მისი ნებისმიერი კომპონენტის მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ცვლილების, სანქცირებული / არასანქცირებული (მათ შორის თაღლითური) ან ნებისმიერი სხვა სახის წვდომის) შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე / ზარალზე.

5. ფორს-მაჟორი და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან მხარეები თავისუფლდებიან, თუ ხელშეკრულების დარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით („ფორს-მაჟორი“).

5.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი მხარეების მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე.

6. კონფიდენციალურობა

6.1. თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან, ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას მეორე მხარის წერილობითი ნებართვის გარეშე არ გაუმხილოს მესამე პირ(ებ)ს რაიმე ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ხელშეკრულებას და წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად ზიანი მიადგა მეორე მხარეს ან მესამე პირებს, ბრალეული მხარე ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები, მისი შეცვლისა და მოშლის პირობები

7.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის განაცხადის მიღების ბანკის მიერ დადასტურების ან კომპანიისგან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობაზე დისტანციური არხით (მათ შორის ინტერნეტ-ბანკით, ელექტრონული ფოსტით) შეტყობინების (მოთხოვნის / თანხმობის) მიღების მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

7.2. კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა და მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 1 (ერთი) თვით ადრე ბანკს მიმართოს წერილობითი განაცხადით (ბანკის ფილიალში ან სერვისცენტრში წარდგენით), ან ინტერნეტ-ბანკით დააფიქსიროს მოთხოვნა (ბანკს მიაწოდოს შეტყობინება), ან მიაწოდოს ბანკს შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (შეტყობინება გაგზავნოს ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართ(ებ)ზე: smepayments@tbcbank.com.ge, corppayments@tbcbank.com.ge) ან დაუკავშირდეს ბანკის სატელეფონო სერვისცენტრს (+99532 2272727). ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებული იქნება მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ სურვილის დაფიქსირებიდან (შეტყობინებიდან) არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა

გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელები.

7.3. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, კომპანიისთვის შეწყვეტის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე.

7.4. მხარეებმა უნდა მოახდინონ საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

7.5. ხელშეკრულება ითვლება საბოლოოდ შეწყვეტილად მხარეთა შორის ყველა სახის (მათ შორის ფინანსური) ვალდებულებების შესრულების და/ან ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოწესრიგების შემდეგ.

8. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

8.1. კომპანიას შეუძლია ისარგებლოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.2. კომპანიამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დასაფიქსირებლად ბანკს უნდა მიმართოს შესაბამისი განაცხადით/შეტყობინებით, რომელიც სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს მითითებას რომელ ხელშეკრულებაზე იყენებს კომპანია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. ხსენებული განაცხადის/შეტყობინების დაფიქსირება კომპანიას შეუძლია როგორც მატერიალური (წერილობითი) ფორმით (ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტში), ასევე დისტანციური არხ(ებ)ით (სატელეფონო სერვისცენტრში დაკავშირებით (+99532 2 272727), ინტერნეტ-ბანკით, მობილური ბანკით).

8.3. კომპანიის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებისას, ბანკი უფლებამოსილია კომპანიას დააკისროს, ხოლო კომპანია ვალდებულია ბანკის ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში გადაიხადოს კომპანიის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე ბანკის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხარჯ(ებ)ი / მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი (გარდა იმ გადასახდელებისა, რომელთა მიმღებია მესამე პირი (ადმინისტრაციული ორგანო, ნოტარიუსი და სხვა)), მომსახურებით სარგებლობის პერიოდის პროპორციულად.

8.4. კომპანია ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განაცხადის/შეტყობინების დაფიქსირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს ბანკს მიღებული თანხა/ქონება, რომელიც სარგებლობაში/საკუთრებაში გადაეცა დისტანციური საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის ფარგლებში.

8.5. ბანკი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მის მიერ დისტანციური საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობისთვის გადახდილი ნებისმიერი თანხა სრულად (8.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯ(ებ)ის გამოკლებით) კომპანიის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განაცხადის/შეტყობინების დაფიქსირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ კომპანია 8.4 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას შეასრულებს ხსენებული პუნქტით განსაზღვრული ვადის ბოლო დღეს და აღნიშნულის გამო ბანკი შესაძლოა აღმოჩნდეს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის წინაშე, ბანკს უფლება აქვს მისგან დამოუკიდებელი (ობიექტური) გარემოების გათვალისწინებით, ვალდებულება შეასრულოს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ (გონივრულ ვადაში).

8.6. მხარეთა მიერ 8.4 და 8.5. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

დანართი #1

წინამდებარე დანართით რეგულირდება კომპანიასა და ბანკს შორის ურთიერთობა იმ შემთხვევ(ებ)ისთვის, როდესაც კომპანიისთვის მომსახურების საფასურის გადახდისას (პოს ტერმინალით ანგარიშსწორების განხორციელებისას) კლიენტი, მისი სურვილით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადაიხდის დამატებით თანხას (შემდგომ „თიფის თანხა“) ნებისმიერი საგადახდო ინსტრუმენტით / უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მომსახურების გაწევის პროცესში კომპანიის თანამშრომლ(ებ)ის ჩართულობის სანაცვლოდ.

1. თიფის თანხის გადახდის პროცესი წარიმართება შემდეგი სქემის შესაბამისად:

1.1. კომპანიის შესაბამისი განაცხადის / მოთხოვნის საფუძველზე, ბანკი კომპანიას გაუაქტიურებს თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალს, რაც შესაძლებელს ხდის:

1.1.1. კლიენტმა, კომპანიის თანამშრომლისთვის თიფის თანხის დატოვების სურვილის არსებობისას, კომპანიისგან მიღებული მომსახურების საფასურის უნაღდო ანგარიშსწორებით (პოს ტერმინალით) გადახდისას, დაადასტუროს პოს ტერმინალზე თიფის თანხის დატოვებასთან დაკავშირებით, რის შემდგომ კლიენტი პოს ტერმინალზე თავად აირჩევს / აკრეფს თიფის თანხის ოდენობას და დაადასტურებს როგორც მომსახურების საფასურის, ასევე თიფის თანხის გადახდას;

1.2. კლიენტის მიერ მომსახურების საფასურთან ერთად თიფის თანხის უნაღდო ანგარიშსწორებით (პოს ტერმინალით) გადახდის შემთხვევაში, სავაჭრო ქვითარზე აისახება მომსახურებისა და თიფის თანხა როგორც ჯამურად, ასევე ცალ-ცალკე.

1.3. მომსახურების და თიფის თანხის ჯამურ ოდენობას გამოაკლდება ბანკის მომსახურების საკომისიო დადგენილი / ბანკსა და კომპანიას შორის შეთანხმებული ტარიფის შესაბამისად, ხოლო დარჩენილ თანხას, დანიშნულების მიხედვით (მომსახურების / თიფის თანხა), პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებების 2.1.1.2. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვით, ბანკი ასახავს კომპანიის იმ ანგარიშ(ებ)ზე, რომელიც მითითებული აქვს კომპანიას შესაბამის განაცხადში / მოთხოვნაში მომსახურების / თიფის თანხ(ებ)ის განთავსებისთვის.

2. თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალით სარგებლობის წესების / პირობების დეტალური აღწერა განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals.

3. ბანკი აცხადებს და კომპანია უპირობოდ ადასტურებს, რომ ბანკს არ ეკისრება (სრულად იხსნის პასუხისმგებლობას) თიფის თანხის განთავსების ანგარიშიდან კომპანიის მიერ კომპანიის თანამშრომლისთვის თიფის თანხის გადარიცხვის და ხსენებული თანხის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაბეგვრის (ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში) გაკონტროლების ვალდებულება. ამასთან, კომპანია ვალდებულია არ განახორციელოს იმგვარი ქმედებები, რაც დაკავშირებული იქნება საგადასახადო თაღლითობასთან / გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობასთან (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.

4. კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალის გათიშვა, გათიშვის თაობაზე ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით (ბანკსა და კომპანიას შორის დადებული / კომპანიის მიერ დადასტურებული (მათ შორის ელექტრონული ფორმით) პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით შეტყობინებისთვის განსაზღვრული ნებისმიერი ფორმით). ამგვარი შეტყობინების მიღების დღიდან ბანკი უზრუნველყოფს თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალის გათიშვას.

5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ბანკსა და კომპანიას შორის დადებული / კომპანიის მიერ დადასტურებული (მათ შორის ელექტრონული ფორმით) პოს ტერმინალით მომსახურების

შესახებ ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს და მასზე ვრცელდება ხსენებული ხელშეკრულების ყველა პირობა / მუხლი / პუნქტი / დებულება.

დანართი #2

წინამდებარე დანართით განისაზღვრება კომპანიის მიერ QReat გადახდით (შემდგომში - „QReat მომსახურება“) სარგებლობის წესები/პირობები.

QReat მომსახურებით გადახდ(ებ)ის მიღების ზოგადი პროცესი წარიმართება შემდეგი სქემის შესაბამისად:

1. კომპანიის შესაბამისი განაცხადის / მოთხოვნის საფუძველზე, ბანკი განიხილავს კომპანიის მიერ QReat მომსახურებით სარგებლობის საკითხს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კომპანიას მიაწვდის QReat მომსახურებისთვის საჭირო QR სტიკერ(ებ)ს/სადგამს. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, კომპანიის მიერ QReat მომსახურების მისაღებად, კომპანიას მოსთხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის და/ან დოკუმენტაციის წარდგენა.
2. QReat მომსახურებით გადახდ(ებ)ის მიღება ამავდროულად გულისხმობს ბანკის მიერ კომპანიისთვის თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალის ავტომატურად გააქტიურებას და QReat მომსახურებით სარგებლობის განმავლობაში კომპანიას არ აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ხსენებული ფუნქციონალის გათიშვა.
3. მობილური ტელეფონის მეშვეობით QR კოდის დასკანერებით კლიენტ(ებ)ი შეძლებს მის მიერ განხორციელებული შეკვეთის (შეკვეთილი პროდუქტი / რაოდენობა / ღირებულება) გადამოწმებას, შეკვეთასთან დაკავშირებული დამატებითი გადასახდელ(ებ)ის (მომსახურების / დღგ და ა.შ., ასეთის არსებობის შემთხვევაში) / ფასდაკლების ხილვას და შეკვეთის საფასურის / თიფის თანხის გადახდას ნებისმიერი ბანკის Visa/Master Card ბარათებით / ელექტრონული საფულით (Google/Apple Pay)/სს „თიბისი ბანკის“ ინტერნეტ-ბანკით.
4. გადახდების მიღება განხორციელდება საერთაშორისო საგადახდო სისტემ(ებ)ის წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. წარმატებით განხორციელებული გადახდის შემდეგ, კლიენტი შეძლებს მის კუთვნილ მობილურ ტელეფონში ელექტრონული ქვითრის ჩამოტვირთვას, რომელზეც ასახული იქნება კლიენტის მიერ განხორციელებული შეკვეთის და გადახდილი თანხის შესახებ სრული ინფორმაცია.
6. ელექტრონულ ქვითარზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან/რეკვიზიტ(ებ)თან ერთად ასახული იქნება ტრანზაქციასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.
7. QReat მომსახურებით სარგებლობის ტარიფ(ებ)ი/საკომისიოები/სხვა გადასახდელები განისაზღვრება იგივე ოდენობით, რაც ბანკს დადგენილი აქვს კომპანიისთვის პოს ტერმინალით მომსახურების შემთხვევაში, იმ განსხვავებით, რომ QReat მომსახურებით სარგებლობისათვის კომპანიას დამატებით არ დაეკისრება ყოველთვიური ფიქსირებული და შევსებადი საკომისიოს გადახდა.
8. ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს ტრანზაქციის თანხის კომპანიის ანგარიშზე ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადარიცხვა / ასახვა, ტრანზაქციის განხორციელებიდან არაუგვიანეს მეორე/მომდევნო საბანკო დღეს.
9. ბანკი უფლებამოსილია კომპანიისთვის ამ დანართით განსაზღვრული მომსახურების გააქტიურების მიზნით, მომსახურების ტექნიკური მხარდაჭერის გამწევ მესამე პირ(ებ)ს გადასცეს კომპანიის ყველა ის ინფორმაცია/მონაცემი , რომელიც აუცილებელია მომსახურებასთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოების გაწევისთვის
10. QReat მომსახურებით სარგებლობის წესების / პირობების დეტალური აღწერა განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals.

11. კომპანია ვალდებულია აკონტროლოს QR სტიკერ(ებ)ის/სადგამის ადგილმდებარეობა და არ დაუშვას მისი მესამე პირ(ებ)ზე გადაცემა. თუ QR სტიკერ(ებ)ი/სადგამი აღმოჩნდება მესამე პირ(ებ)ის მფლობელობაში, ბანკი იხსნის პასუხისმგებლობას მესამე პირ(ებ)ის მიერ QR სტიკერ(ებ)ით/სადგამით სარგებლობით გამოწვეულ ნებისმიერ შედეგებზე/ზიანზე.
12. QReat მომსახურების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი პრობლემ(ებ)ის, ხარვეზ(ებ)ისა და გაუმართაობის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია აღნიშნულის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს ბანკს ნომერზე: 032 2272730.
13. ჩარჯბეკის შემთხვევაში, კლენტს უფლება აქვს გაასაჩივროს სრული თანხა (ანგარიშის და თიფის თანხა ჯამურად). კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს ჩარჯბეკის დოკუმენტი საერთაშორისო საგადახდო სისტემ(ებ)ის წესებით დადგენილი ჩარჯბეკის პროცესის შესაბამისად.
14. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს და მასზე ვრცელდება ხელშეკრულების ყველა პირობა / მუხლი / პუნქტი / დებულება.

დანართი #3

შეთანხმება

1. წინამდებარე შეთანხმება არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობას იმ შემთხვევ(ებ)ისთვის, როდესაც კომპანიისთვის მომსახურების საფასურის გადახდისას (პოს ტერმინალით ანგარიშსწორების განხორციელებისას) კლიენტი, მისი სურვილით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადაიხდის დამატებით თანხას (შემდგომ „მადლობის თანხა“) ნებისმიერი საგადახდო ინსტრუმენტით / უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მომსახურების გაწევის პროცესში კომპანიის თანამშრომლ(ებ)ის ჩართულობის სანაცვლოდ.
2. მადლობის თანხის გადახდის პროცესი წარიმართება შემდეგი სქემის შესაბამისად:
   2.1. კომპანიის შესაბამისი განაცხადის / მოთხოვნის საფუძველზე, ბანკი კომპანიას გაუაქტიურებს მადლობის თანხის გადახდის ფუნქციონალს, რაც შესაძლებელს ხდის:
      2.1.1. კლიენტმა, კომპანიის თანამშრომლისთვის მადლობის თანხის დატოვების სურვილის არსებობისას, კომპანიისგან მიღებული მომსახურების საფასურის უნაღდო ანგარიშსწორებით (პოს ტერმინალით) გადახდისას, დაადასტუროს პოს ტერმინალზე მადლობის თანხის დატოვებასთან დაკავშირებით, რის შემდგომ კლიენტი პოს ტერმინალზე თავად აირჩევს / აკრეფს მადლობის თანხის ოდენობას და დაადასტურებს როგორც მომსახურების საფასურის, ასევე მადლობის თანხის გადახდას;
   2.2. კლიენტის მიერ მომსახურების საფასურთან ერთად მადლობის თანხის უნაღდო ანგარიშსწორებით (პოს ტერმინალით) გადახდის შემთხვევაში, სავაჭრო ქვითარზე აისახება მომსახურებისა და მადლობის თანხა როგორც ჯამურად, ასევე ცალ-ცალკე.
   2.3. მომსახურების და მადლობის თანხის ჯამურ ოდენობას გამოაკლდება ბანკის მომსახურების საკომისიო დადგენილი / ბანკსა და კომპანიას შორის შეთანხმებული ტარიფის შესაბამისად. ამასთან, პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებების 2.1.1.2. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვით, დარჩენილი თანხიდან მომსახურების თანხას ბანკი ასახავს კომპანიის, ხოლო მადლობის თანხას - მენეჯერის იმ ანგარიშ(ებ)ზე რომელიც მითითებული აქვს კომპანიას შესაბამის განაცხადში / მოთხოვნაში მომსახურების / მადლობის თანხ(ებ)ის განთავსებისთვის.
3. მადლობის თანხის გადახდის ფუნქციონალით სარგებლობის წესების / პირობების დეტალური აღწერა განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals
4. ბანკი აცხადებს, ხოლო კომპანია და მენეჯერი უპირობოდ ადასტურებენ, რომ ბანკს არ ეკისრება (სრულად იხსნის პასუხისმგებლობას) მადლობის თანხის განთავსების (მენეჯერის) ანგარიშიდან კომპანიის/მენეჯერის მიერ კომპანიის თანამშრომლ(ებ)ისთვის მადლობის თანხის გადარიცხვის და ხსენებული თანხის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაბეგვრის (ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში) გაკონტროლების ვალდებულება. აღნიშნულზე კონტროლი და გადარიცხვის / დაბეგვრის (ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში) ვალდებულება ცალსახად ეკისრებათ კომპანიას / მენეჯერს. ამასთან, კომპანია / მენეჯერი ვალდებულია არიან არ განახორციელონ იმგვარი ქმედებები, რაც დაკავშირებული იქნება საგადასახადო თაღლითობასთან / გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობასთან (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.
5. კომპანია იღებს ვალდებულებას, „პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით“ განსაზღვრული წესით/ფორმით, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს (ხოლო ბანკი ვალდებულია შეტყობინების მიღების დღიდან შეწყვიტოს მენეჯერის ანგარიშზე მადლობის

თანხ(ებ)ის განთავსება) მენეჯერის ცვლილებისა და ამ ცვლილებიდან გამომდინარე, ახალი მენეჯერის მონაწილეობით ახალი შეთანხმების გაფორმების (ან არსებული შეთანხმების ცვლილების) ან წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი სრულად იხსნის პასუხისმგებლობას ამ შეთანხმებით განსაზღვრული მენეჯერის ანგარიშზე მადლობის თანხ(ებ)ის განთავსების შედეგ(ებ)ზე.

6. კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს მადლობის თანხის გადახდის ფუნქციონალის გათიშვა, გათიშვის თაობაზე ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით („პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით“ შეტყობინებისთვის განსაზღვრული წესით/ფორმით). ამგვარი შეტყობინების მიღების დღიდან ბანკი უზრუნველყოფს მადლობის თანხის გადახდის ფუნქციონალის გათიშვას, ხოლო წინამდებარე შეთანხმება შეწყვეტს მოქმედებას.
7. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს „პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების“ არსებით შემადგენელ ნაწილს და მასზე ვრცელდება ხსენებული ხელშეკრულების ყველა პირობა / მუხლი / პუნქტი / დებულება.

დანართი #4

1. წინამდებარე დანართით განისაზღვრება პრეავტორიზაციის პროცესის ფარგლებში კომპანიის მიერ განსახორციელებელი ზოგადი ქმედებები და გასათვალისწინებელი/სარეკომენდაციო გარემოებები პრეავტორიზაციის პროცესის უსაფრთხოდ განხორციელებისთვის.

- **ბარათის მფლობელის ინფორმირება პრეავტორიზაციის თანხის თაობაზე:**

  - კომპანიამ, ბარათის მფლობელს, წერილობითი (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) შეტყობინებით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ სავარაუდო თანხის ოდენობაზე, რომლის ფარგლებშიც შესრულდება პრეავტორიზაცია და ხსენებული თანხის ოდენობაზე, პრეავტორიზაციის დასაწყისისთვის, მიიღოს ბარათის მფლობელის წერილობითი დასტური (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გარიგების თანხის დროებითი დაბლოკვა (ჯავშანი) განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაციის საფუძველზე, კომპანიამ ბარათის მფლობელს ასევე წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) უნდა მიაწოდოს/განუმარტოს დეტალური ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში მოქმედი ჯავშნის თაობაზე.
  - კომპანია უფლებამოსილია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდოს ინფორმაცია ბარათის მფლობელს იმის თაობაზე, კონკრეტულად რომელ ვალუტაშია შესაძლებელი თანხის მითითება და/ან შესაბამისი მაგალით(ებ)ის/ფორმულ(ებ)ის საფუძველზე განუმარტოს თანხის გამოთვლის წესი/დეტალები.
  - კომპანიამ უნდა განუსაზღვროს/მიანიჭოს ბარათის მფლობელს უფლება, ჯავშნის დადასტურებიდან 24 საათის განმავლობაში შეძლოს ჯავშნის გაუქმება, ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე. ამასთან, თუ ბარათის მფლობელი ჯავშანს არ გააუქმებს კომპანიის მიერ ჯავშნის გაუქმებისთვის განსაზღვრულ/გაცხადებულ ვადაში, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ჯავშნის შენარჩუნება ჯავშნის განხორციელებიდან 24 საათის განმავლობაში.

- **თანხის ცვლილება და დაგვიანებით ჩამოჭრილი თანხები**

  - კომპანიამ, ბარათის მფლობელს, წერილობითი (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) შეტყობინებით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია დაგვიანებით ჩამოჭრილი თანხ(ებ)ის შესახებ, კერძოდ:
    - ✓ დანაკარგის/დაზიანების შემთხვევაში - ნივთის დაბრუნების / სასტუმროს ნომრის დატოვების და ა.შ. თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ტრანზაქციის დამუშავებამდე / თანხის ჩამოჭრამდე, კომპანიამ ბარათის მფლობელს სავალდებულოდ უნდა წარუდგინოს / მიაწოდოს შემდეგი დოკუმენტები:
      - თანხის ცვლილების ამსახველი ტრანზაქციის ქვითარი;
      - დაგვიანებით ჩამოჭრილი თანხ(ებ)ის წარმომავლობაზე დეტალური განმარტება (აუცილებლად უნდა იკვეთებოდეს ნივთის/მომსახურების მიღების კავშირი ბარათის მფლობელთან);
      - ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - დაზიანების თაობაზე სამართალდამცავი ორგანოს და/ან სადაზღვევო კომპანიის მიერ

შედგენილი ნებისმიერი დოკუმენტი; სხვა ნივთთან/მომსახურებასთან დაკავშირებით - დანაკარგის/დაზიანების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი;
- სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი ზარალის/ზიანის ოდენობის დამდგენი და ზარალთან/ზიანთან ბარათის მფლობელის კავშირის (პასუხისმგებლობის) დამდგენი/დამადასტურებელი დოკუმენტები.

✓ ნებისმიერი სხვა საფუძვლით დაგვიანებით ჩამოჭრილი თანხ(ებ)ის შემთხვევაში:
- დაგვიანებით ჩამოჭრილი თანხ(ებ)ის ამსახველი ტრანზაქციის ქვითარი;
- დაგვიანებით ჩამოჭრილი თანხ(ებ)ის ოდენობის განმსაზღვრელი დოკუმენტ(ებ)ი (მაგალითისთვის: პარკირების ან საგზაო მოძრაობის წესის დარღვევის შემთხვევაში - დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც შეიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერს, დარღვევის დროს/ადგილს და ჯარიმის ოდენობას სახელმწიფო ვალუტაში);
- დოკუმენტაციის მიწოდება კომპანიამ უნდა განახორციელოს პრეავტორიზაციის დასრულებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

➢ კომპანიას არ აქვს უფლება ბარათის მფლობელის თანხმობის (მათ შორის თანხმობად ჩაითვლება ელექტრონული ფოსტით დადასტურება) გარეშე განახორციელოს დამატებითი (ზიანთან/ზარალთან დაკავშირებული) თანხის ჩამოჭრა.

- **რეკომენდაციები ჩარჯბეკის პრევენციის მიზნებისთვის:**

➢ კომპანიამ გააფორმოს ხელშეკრულება ბარათის მფლობელთან, რომლის საფუძველზეც ბარათის მფლობელი განაცხადებს თანხმობას პრეავტორიზირებული თანხის ჩამოჭრაზე გაწეული მომსახურების და/ან ზარალის ფარგლებში;
➢ კომპანიამ ბარათის მფლობელის ინფორმირება უნდა მოახდინოს ამ დანართით განსაზღვრული ფორმით/ვადებში;
➢ ტრანზაქციის ავთენტიფიკაცია (მაგ.: პინით დადასტურება, ბარათის მფლობელის თანამონაწილეობა) უნდა მოხდეს პრეავტორიზაციის განხორციელებისას/პრეავტორიზაციის დასრულებისას.

➢ **გასათვალისწინებელი ინფორმაცია/რეკომენდაცია:**
✓ თუ თანხის დაბლოკვა ხდება ბარათის მფლობელთან ხელშეკრულების გაფორმების მომენტში - კომპანია უფლებამოსილია დაბლოკილი თანხის ფარგლებში ჩამოჭრას თანხა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
✓ თუ კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ბარათის მფლობელთან / ფლობს ბარათის მონაცემებს, ხოლო თანხის დაბლოკვა/ჩამოჭრა ხდება დანაკარგის/დაზიანების/ზარალის აღმოჩენისას, ასეთ შემთხვევაში კომპანიას მიწოდებული უნდა ჰქონდეს ბარათის მფლობელისთვის შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და თანხის ჩამოჭრა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ბარათის მფლობელისგან თანხმობის მიღების (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) შემდგომ. ბარათის მფლობელის

თანხმობის გარეშე, მხოლოდ ხელშეკრულების / ბარათის მონაცემების ფლობის საფუძველზე, თანხის ჩამოჭრა არ უნდა მოხდეს;

- ✓ გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა, პრეავტორიზაციის ფარგლებში ტრანზაქციის დამუშავების მაქსიმალური ვადა კომპანიებისთვის განისაზღვრება მათი ბიზნეს მიმართულების შესაბამისად, შემდეგი ოდენობით (ვადის ათვლა იწყება ავტორიზაციის ჩატარების დღიდან):

- 30 კალენდარული დღე:

  საკრუიზო, საცხოვრებელი, სხვადასხვა ტიპის სასტუმროები, ცენტრალური ჯავშნის მომსახურების სერვისები და ა.შ., ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავების კომპანიები;

  - 10 კალენდარული დღე:

  თვითმფრინავის, ველოტრანსპორტის, ელექტრო სკუტერის, ნავის, მოტოციკლის, ტანსაცმლისა და კოსტუმების, DVD და ვიდეო, აღჭურვილობისა და ხელსაწყოების, ავეჯის, მისაბმელიანი მანქანების / გადასაადგილებელი სახლების/ნაგებობების განთავსების ადგილების (პარკების / კემპინგების) გაქირავება.

- 5 კალენდარული დღე:

  ყველა დანარჩენი კომპანიისთვის.

2. წინამდებარე დანართი ადგენს ზოგად რეკომენდაციებს და წესებს პრეავტორიზაციის პროცესში მონაწილე კომპანიებისთვის. პრეავტორიზაციის პროცესის კონკრეტული წესები/პირობები კი განისაზღვრება ბანკსა და კომპანიას შორის დადებული / კომპანიის მიერ დადასტურებული დოკუმენტით/დანართით, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების/დანართის არსებით შემადგენელ ნაწილს და მასზე ვრცელდება ხელშეკრულების/დანართის ყველა პირობა / მუხლი / პუნქტი / დებულება.

დანართი #5

წინამდებარე დანართით რეგულირდება/განისაზღვრება პოს ტერმინალზე ვალუტის ცვლილებისთვის განკუთვნილი ფუნქციონალის (შემდგომში - DCC) კომპანიისთვის გააქტიურების / გათიშვის ზოგადი წესები/პირობები.

1. ბანკს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ, კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე, კომპანიას გაუაქტიუროს DCC და აღნიშნულის თაობაზე მიაწოდოს ინფორმაცია კომპანიას შეტყობინების ინტერნეტ-ბანკით გაგზავნის მეშვეობით.

2. კომპანიას უფლება აქვს მისთვის ბანკის მიერ DCC-ის გააქტიურების შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს DCC-ით სარგებლობაზე, უარის თაობაზე განაცხადის ინტერნეტ-ბანკისმეშვეობით დაფიქსირებით. თუ კომპანია არ ისარგებლებს ამ პუნქტით განსაზღვრული უარის თქმის უფლებით, აღნიშნული ჩაითვლება ბანკის მიერ გააქტიურებული მომსახურების (DCC) მიღებაზე კომპანიის მიერ თანხმობის გაცხადებად.

3. DCC-ით სარგებლობის დეტალური აღწერა / სტანდარტული წესები/პირობები წარმოდგენილია ბანკის ვებგვერდზე https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals. ხსენებული წესები/პირობები გავრცელდება ყველა იმ კომპანიაზე, რომელსაც ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ გაუაქტიურებს DCC-ს.

4. მიუხედავად ამ დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრულისა, თუ DCC-ით სარგებლობასთან დაკავშირებით ბანკსა და კომპანიას შორის ურთიერთობა დარეგულირებულია (ან დარეგულირდება) ამ დანართით გათვალისწინებულისგან განსხვავებული წესით / მხარეთა შორის შეთანხმებული (არასტანდარტული) პირობებით, მსგავს შეთანხმებას ენიჭება უპირატესი ძალა DCC-ით სარგებლობის ფარგლებში ამ დანართით განსაზღვრულ ურთიერთობებთან მიმართებით.

5. ბანკს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ, კომპანიის წინასწარი ინფორმირების გარეშე, კომპანიას გაუთიშოს DCC და აღნიშნულის თაობაზე მიაწოდოს ინფორმაცია კომპანიას შეტყობინების ინტერნეტ-ბანკით გაგზავნის მეშვეობით.

6. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს და მასზე ვრცელდება ხელშეკრულების ყველა პირობა / მუხლი / პუნქტი / დებულება.